

სულიერი განვითარების ცენტრი  
«ალორძინება»

გამოაშვარავება,  
ანუ  
როგორ მოხდა ეს



გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

# გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

მამა აბსოლუტისა და სამყაროს ზეციური ძალების  
გზავნილთა კრებული

გზავნილები მიიღო მართამ  
(2019 წლის დეკემბერი – 2022 წლის მაისი)

## შინაარსი

შინაარსი.....	3
მეხუთე განზომილებაში გადასვლა (მეტი დუმილი აღარ შეიძლება).....	10
გასული წლის შეჯამება.....	11
მიწაზე და ზეცაში.....	13
მეხუთე განზომილებაში გადასვლა (ამაღლების ელჩები).....	15
კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული .....	16
შეაჩერეთ ენერგეტიკული ქაოსი .....	18
დედამიწის დახმარება.....	19
საათი “X” .....	21
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (როგორ დავიცვათ საკუთარი ენერგეტიკული გარემო უცხო ენერგიების გავლენისგან).....	23
მონობისგან განთავისუფლება.....	24
უბედურება რომ არ არსებულებო არც ბედნიერება იარსებებდა .....	25
ვა-ბანკზე წასვლა.....	26
ტყუილის სავანე .....	28
ხალხის მასებმა იმედები გაუცრუათ.....	30
არასაჭირო ბალასტი .....	31
მენტალიტეტის ტყვეები .....	33
დარჩით ადამიანებად.....	34
ვირუსისგან მთავარი დაცვა თქვენი სუფთა ცნობიერებაა.....	35
ძალების გადაჯგუფება.....	37
ბრთხილად ვაქცინა! .....	38
ღვთაებრივი ცეცხლი .....	40
სიღრმეების შესწავლისას არ აღმოჩნდეთ ბსკერზე!.....	41
კუთხეში მიმწყვდეულნი.....	43
დედამიწის დასაცავად .....	44
მესამე გზა არ არსებობს.....	46
ცვლილებების დრო .....	48
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (გეგმა “B”).....	50
ანდრომედიანელების გზავნილები (შეამსუბუქეთ დარტყმა) .....	52

გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (დიდი დუალური თამაში).....	53
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (ჩაუქრომელი ღვთაებრივი სინათლე) .	55
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (აკრძალული ილეთები)	57
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (ეს იქნება თქვენი გამარჯვება) .....	58
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (კულისებში შეხედვა)	59
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (ნუ ავნებ) .....	61
ანდრომედიანელების გზავნილების კრებულ (ენერგეტიკული “რევოლუცია”) .....	62
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (დედამიწაზე ნათელი და ბნელი ძალების ბრძოლის აპოფეოზი) .....	64
ანდრომედიანელების გზავნილების კრებული (საბედოსწერო არჩევანი) .....	65
მეგობრული დახმარება.....	67
გადამწყვეტი მომენტი .....	69
პლეიადიანელები. ჩვენი მონაწილეობა ამაღლებაში .....	70
ამაღლების ენერჯის ნათელი.....	72
ცხოვრება ახალ დედამიწაზე (ყველაფერი დაფარული გამოაშკარავდება) .....	73
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (თავისუფლებიდან მონობისკე და პირიქით).....	75
ბოლო მასკარადი.....	77
ვის მხარეზეა კანონი.....	78
ამტარის სახელს ამოფარებულნი .....	80
ერთობლივი კავშირი დედამიწის გადასარჩენად.....	81
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (რეფტილოიდების კოლექტიური ცნობიერების ენერგეტიკული ბადის განეიტრალება).....	83
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (დაიცავით თქვენი ცხოვრება და თავისუფლება).....	84
ბოლო ზარი .....	86
გადამწყვეტი მომენტი .....	88
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (არჩევანის თავისუფლება) .....	89
გამბედაობის საბოლოოდ მოკრება .....	91
მიზნამდე მისვლა.....	92
მასობრივი ტყუილის სამუალებები .....	94
ვინ ვინ არის.....	96
მეფე კი შიშველი აღმოჩნდა! .....	97
უკან გზა აღარ არის.....	99



გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

შეინარჩუნეთ სიმშვიდე .....	100
საბოლოო არჩევანი .....	102
დეკორაციები მალე ჩამოინგრევა .....	104
დაასრულეთ რათა დაიწყოთ .....	105
თევზი ლპობას თავით იწყებს .....	107
რეფტილოიდების ბატონობის დასასრული .....	108
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (მოსახლეობის რობოტიზაციის პროგრამა) .....	110
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ვისთვის არის დედამიწაზე ცხოვრება კარგი).....	112
მათ საკუთარი არჩევანი გააკეთეს.....	113
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (უცხოპლანეტური ტექნოლოგიები).....	115
ვაქცინაციის შედეგები.....	116
ადამიანის სულის ძალა.....	118
ჩვენ გავსებთ ჩვენი ენერჯით.....	120
დედამიწის დაცვა ბნელი ძალებისა და მტრულად განწყობილი უცხოპლანეტური ცივილიზაციებისგან.	121
რადიაციისა და დამაზიანებელი ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების ნეიტრალიზაცია	123
კაცობრიობის აღდგომა .....	124
კაცობრიობის დიდებული გამოღვიძება.....	126
“წესებიდან” გამონაკლისი.....	127
დედამიწაზე არსებული სიცოცხლის სახელით .....	129
თოჯინების თეატრი .....	131
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ამაღლების პერიოდში ბნელი და ნათელი ძალების ჭიდილი)	132
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (დედამიწის ამაღლების პროცესში კაცობრიობის მიმართ მეგობრულად განწყობილი ცივილიზაციების მონაწილეობა).....	134
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (რთული არჩევანი).....	136
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ღირსეულად დაასრულეთ თქვენი როლი)	138
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (საბედისწერო გამოცდა).....	139
გაერთიანდით სულიერად ჩვენო ძვირფასებო! .....	141
“აკრძალული ილეთი” .....	142
თქვენი ცნობიერების სასწორი.....	144
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გამოცდა უპირობო სიყვარულში).....	145

გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გარემოებების ზეწოლის გამო).....	147
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (თავდაჯერებულობის მახეში) .....	149
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (მისია: მოწყალების გამოვლინება).....	150
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (რთული მეზობლობა).....	152
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ცნობიერებაში ერთობისა და მსგავსების კანონების გაერთიანება) .....	153
საპროტესტო აქციაზე მყოფების მიმართ ენერგეტიკული დახმარება.....	155
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ბუმერანგი უკან ბრუნდება).....	156
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (მსხვერპლი და ჯალათი) .....	158
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ურჩნი).....	160
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (კოლექტიური პასუხისმგებლობა).....	161
გადაარჩინეთ თქვენი შვილების სულები.....	163
მაღალვიბრაციული “ცუნამი”.....	164
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (რაც უფრო მეტია შეზღუდვები, მით უფრო ძლიერია საპასუხო რეაქცია).....	166
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (როცა ცნობიერება მზად იქნება).....	168
გამარჯვების “გემოს შეგრძნება”.....	170
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ყველაფერს თავისი დრო აქვს) .....	171
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (თანასწორად საუბარი).....	173
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (არავითარ შემთხვევაში!) .....	175
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გამოაშკარავება).....	176
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გამოაშკარავების საფეხურები).....	178
საბედისწერო სექტემბერი .....	179
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (საკუთარი თავის გამოაშკარავება) .....	181
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გზაგასაყარზე დაკარგულები).....	183
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ზომიერების გრძნობა).....	184
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გამოაშკარავების მეორე ეტაპი) .....	185
იგრძენით ერთობა! .....	187
გულის შიშისგან განთავისუფლება .....	189
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ნათელ მხარეში გადასვლა).....	190
ოცი წელი ტყუილში .....	192
ბრთხილად, დღესასწაული! .....	194
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (სასმელი) .....	196



გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (საკუთარი უფლებების დაცვის უნარი) ..... 197

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ემციური თავდაჭერა)..... 199

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (საკუთარი გრძნობის ნატიფი ორგანოების მართვა) ..... 200

უკანასკნელ ადამიანამდე ..... 202

ერთიან ნაკადში ..... 204

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (თქვენი წვლილი დედამიწის ამაღლების პროცესში) ..... 205

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (გზააბნეული სულის დახმარება) ..... 207

მესამე რეალობა ..... 208

მშვიდობისმოქმედი ..... 210

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ბარიკადების სხვადასხვა მხარეს)..... 211

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ენერგეტიკული განთავისუფლება)..... 213

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ადამიანის ცნობიერებაზე ზეგავლენის ენერგეტიკული მექანიზმი)..... 215

შემოქმედის გეგმა კაცობრიობის გამოღვიძების შესახებ..... 216

ღირსების შეგრძნება ..... 218

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (სულების მკურნალები)..... 219

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (შიშის განეიტრალება) ..... 221

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ღვთაებრივი სხეულის დაბრუნება) ..... 222

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (რეალობას სასურველი ილუზიით ნუ შეცვლით) ..... 223

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ყოველთვის გაითვალისწინეთ თქვენი შესაძლებლობები) .  
225

ზღაპრის გმირების მსგავსად ..... 226

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (საკუთარი გამარჯვება) ..... 228

როდის გამოაშკარავდება ტყუილი ..... 230

უკუ დათვლა ..... 231

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ევოლუციის ახალი დონე)..... 232

გარდამტეხი წელი ..... 234

ახლა ჯერი თქვენზეა ჩვენო ძვირფასებო! ..... 235

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (ენერგეტიკული ურთიერთგაცვლა) ..... 237

იყურეთ მხოლოდ წინ..... 238

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (სასწაულმოქმედთა სკოლა)..... 240

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (მინუსის პლიუსად გადაქცევა)..... 241

ახალ დედამიწაზე ცხოვრება (არა რაოდენობით, არამედ შესაძლებლობებით)..... 243

გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

მოახლოებული გამოაშკარავება .....	244
თქვენ ხართ გამორჩეული დიდებული სულები! .....	246
“გედის, კიბორჩხალასა და ქარიყლაპიას” («ЛЕБЕДЬ, РАК И ЩУКА») მსგავსად .....	247
ამაღლების მდინარე.....	248
ენერგეტიკული დირიჟორები .....	250
დაე დრო თქვენზე მუშაობდეს .....	251
დასჯის შიში .....	253
გამარჯვებულთა აზარტი .....	254
გაითვალისწინეთ ჩვენი შეცდომები.....	256
ყველა ნიღაბი ჩამოხსნილია .....	258
ახალ დედამიწაზე ცხოვრება (მესამე განზომილების მატრიცის პროტოტიპი).....	260
ბოლო ბრძოლა .....	261
მშვიდობიანი რევოლუცია .....	263
ცრუ დოროშის ქვეშ .....	264
წყვიტადიდან დაბრუნება .....	266
მდუმარე თანხმობით .....	267
დაკარგული პოზიციების დაბრუნება .....	269
დიდი მისია .....	271
მშვიდობა მთელს მსოფლიოში.....	272
განმათავისუფლებელი ომი .....	273
სიკეთის ბოროტებასთან საბედისწერო შებრძოლება .....	275
ღმერთის გენი.....	277
ღვთაებრივი მემკვიდრეობა .....	278
ადამიანის ღვთაებრივი დნმ-ს გამოღვიძება .....	280
ენერგეტიკული დაპირისპირების ტექნოლოგია.....	282
ბოლო “სიმაღლე” .....	283
წესების გარეშე თამაში .....	285
კაცობრიობის ბედზე პასუხისმგებლობა.....	287
ფანჯარა ახალ მსოფლიოში (ტესტი გათვითცნობიერებაზე) .....	288
მრუდე სარკეების სამეფო .....	290
ფანჯარა ახალ მსოფლიოში (საკუთრ თავში მესამე განზომილების პროგრამების არსებობის აღიარება)	291



გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

ვიბრაციული ბალანსის დამყარება.....	293
ფანჯარა ახალ მსოფლიოში (მესამე განზომილების მატრიციდან გამოსვლა).....	294
რუსული სულისკვეთება .....	296
ადამიანთა სულების განსაწმენდელი .....	298
სლავური ხალხების გაერთიანება.....	299
წამიერი კარმა.....	300
როგორ შევცვალოთ ფიზიკური რეალობა.....	302
ფანჯარა ახალ მსოფლიოში (როგორ იწრთობა მეტალი).....	303
თქვენ არასოდეს არ ხართ მარტონი.....	305
პირველივე მოხმობისას .....	306
წყვდიადი განთიადისას ყველზე მეტად მკვრივდება .....	308
საზოგადოებრივი აზრი .....	309
საზოგადოებრივი აზრის ენერგეტიკული ნაწილი.....	311
საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია.....	313
დიდებულუ გამარჯვების საფასური .....	315
ენერგეტიკული გაერთიანება.....	316
კოლექტიურ ცნობიერებაზე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა .....	318
ამაღლების სცენარები.....	319
ფანჯარა ახალ მსოფლიოში (ბოლო შანსი).....	321
ძველი მსოფლიოს აგონია.....	322
ფანჯარა ახალ მსოფლიოში (ვიბრაციულ მწკრივში) .....	324
ექსპერიმენტის დასრულება.....	326
გლობალური ენერგეტიკული ცვლილება .....	327
დარტყმის შემსუბუქება .....	329
წყაორები .....	331

2019

**მეხუთე განზომილებაში გადასვლა (მეტი დუმილი აღარ შეიძლება)**

მამა აბსოლუტი

მოგესალმებით ჩემო საყვარელო და ძვირფასო შვილებო!

ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს კაცობრიობის კოლექტიური გონის შესახებ, მაგრამ ამჯერად ჩვენ მას განვიხილავთ არა ენერგეტიკული თვალსაზრისით, არამედ – მატერიალური.

და აი რას ვგულისხმობ.

ადამიანის ცნობიერება, რომელიც მესამე განზომილებაშია ინკარნილებული, მოიცავს ფასეულობების გარკვეულ სისტემას.

ის შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში დაიბადა ადამიანი, მის ოჯახზე, აღზრდაზე, განათლებაზე, სოციალურ სტატუსზე, რელიგიურ და ნაციონალურ ტრადიციებზე.

ეს შემადგენელი ნიუანსები შეიძლება ეხმარებოდეს ადამიანს სულიერ განვითარებაში, ანუ მისი ცნობიერების გაფართოებაში, ან ხელს უშლიდეს მას ამაში.

მაგრამ, როგორც თქვენ იცით, აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში გაზრდილ ადამიანებს შეიძლება ქონდეთ ძალიან განსხვავებული ცნობიერების დონე.

რატომ ხდება ეს?

უპირველეს ყოვლისა, სულის ასაკის გამო.

მაგრამ ხშირად გვაქვს სხვა ფაქტორებიც.

მთავარი მათგან არის მასიური შეტევა ადამიანის ცნობიერებაზე საზოგადოების მიერ, რომელზედაც ძალაუფლება იმავე რეფტილოიდებმა ჩაიგდეს ხელში.

ამიტომაც, ახლა, ჩემო ძვირფასებო, თქვენ მოგიწევთ უკვე არა მხოლოდ ენერგეტიკული მუშაობა ადამიანთა კოლექტიურ ცნობიერებასთან, არამედ მატერიალური განმანათლებლობითი ხასიათის მუშაობაც.

ახლა, როდესაც რეფტილოიდები ვა-ბანკზე წავიდნენ და მათი მოქმედებები ატარებენ უკვე დაუფარავ საომარ ხასიათს ადამიანის მიმართ, ჩნდება სულ უფრო და უფრო მეტი რეალური ფაქტი მათი მოქმედებების შესახებ, რომლებიც შეგიძლიათ მათივე წინააღმდეგ გამოიყენოთ.

ბევრი ჟურნალისტი, მეცნიერი, სახალხო მოღვაწე ტეხავს განგაშს თქვენი პლანეტის განადგურების შესახებ და ადამიანის ღვთაებრივ ბუნებაში უხეში, ძალადობრივი ჩარევის გამო.

უკვე არის მრავალი საბუთი იმისა, თუ როგორ მომაკვდინებლად მოქმედებს ადამიანზე ვაქცინები, გმო (გენმოდიფიცირებული პროდუქცია), ელექტრომაგნიტური



## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

გამოსხივება, ბიომეტრიული დოკუმენტები და ჩიპები, რომელშიც ანგრევენ ადამიანების ორგანიზმს და ფსიქიკას.

ამჟამად, არსებობს უკვე ბევრი ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია პირდაპირი ზემოქმედება იქონიოს ადამიანის ცნობიერებაზე, რომელიც არის მისი მთავარი ღვთაებრივი შემადგენელი ნაწილი.

და ამ უკანონობის შეჩერება თქვენს მიმართ შეგიძლიათ მხოლოდ თქვენვე.

ახლა აღარ შეიძლება დუმილი, რადგანაც რეფტილოიდების მიერ კაცობრიობის განადგურების მიზნით დაძრული მექანიზმი ყოველდღიურად უფრო მეტ ძალას იძენს და საკუთარი მოქმედების რადიუსში ითრევს სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს, რომელთა გონება დაზინდულია მათი ლამაზი სიტყვებითა და ცრუ დაპირებებით.

რეფტილოიდების სამსახურში არის კაცობრიობის ყველა საუკეთესო მეცნიერი, რომლებიც პრაქტიკულად თვითმკველობას ჩადიან.

რატომ გახდა ეს შესაძლებელი?

მხოლოდ იმიტომ, რომ რეპტილოიდებმა პლანეტის მოსახლეობის უმეტესობას წაართვეს მათი ცნობიერების სულიერი ნაწილი.

სულიერება მათ შეცვალეს ოქროს კუროს (ფულის. მთარგმენის აზრით) მიმართ თავყანისცემით, რომელსაც ემსახურებიან თავდ და აძალებენ ადამიანების უმრავლესობასაც ამის კეთებას.

ამიტომაც, ჩემო ძვირფასებო, არ იყოთ ჩუმად!

ისაუბრეთ იმათთან, ვინც მზადაა თქვენი მოსმენისათვის იმის შესახებ, თუ რა ხდება ახლა თქვენს პლანეტაზე!

აუხსენით მათ პლანეტაზე არსებული რეალური მდგომარეობა!

გამოაშკარავეთ ტყუილი, რომელიც დიდი ნაკადით მოედინება ოფიციალური წყაროებიდან და მასმედიიდან!

დაიცავით თქვენი არსებობის უფლება!

არ მისცეთ ნება მოკლან თქვენი ღვთაებრივი სული!

ამით გლოცავთ თქვენ!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომელად უყვარხართ საუბრობდა თქვენთან.

გზავნილი მიიღო მართამ 13 დეკემბერი 2019 წ.

## გასული წლის შეჯამება

მამა აბსოლუტი

მოგესალმებთ ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს გადავუხვიო ჩვენი თემიდან და გავაკეთო 2019 წლის ერთგვარი შეჯამება.

ის ჭეშმარიტად გახლდათ გარდამტეხი თქვენი პლანეტის ბევრი მაცხოვრებლისათვის, რადგანაც ენერგეტიკულად გაჰყო ისინი, ვინც პოტენციურად მზადაა დედამიწის ახალ ვიბრაციებთან რეზონანსში შესასვლელად და მასთან ერთად

მეხუთე განზომილებაში გადასასვლელად და ისინი, ვინც ვერანაირ შემთხვევაში ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ.

სამწუხაროდ, პირველი ჯგუფის წარმომადგენლები ბევრად ნაკლებია.

აიხსნება ეს იმით, მომ ყოველი ახალი ასწლეულის დასაწყისთან ერთად, დედამიწაზე რჩებოდა სულ უფრო და უფრო ნაკლები სუფთა ადამიანური სული.

რეფტილოიდებმა გააკეთეს ყველაფერი, რათა შეერიათ ადამიანთა რასა დედამიწაზე არსებული სიცოცხლის სხვა ფორმებთან.

იმის გამო, რომ მათ მიზანს შეადგენდა ადამიანთა ცნობიერების დამონება, მათ არა მხოლოდ ხელთ იგდეს დედამიწაზე არსებული პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება, არამედ შეეცადნენ დაენერგათ თავიანთი წარმომადგენლები თითქმის ყველა ოჯახში, იმისათვის, რომ კონტროლის ქვეშ ყოლოდათ სუფთა ადამიანური სულები.

და მათ ეს სრულფასოვნად გამოუვიდათ.

ისინი იყენებდნენ ბოროტად ადამიანის გულუხვობასა და ბუნებრივ კეთილგანწყობას და იკვებებოდნენ არა მხოლოდ მათი ენერგებით არამედ სრულიად დაიქვემდებარეს ისინი. ეს მოახერხეს მათივე შექმნილი წესებით, კანონებით, რიტუალებითა და ტრადიციებით, რომლებიც ადამიანს არსებობის მცირე ჩარჩებში სვამს და ართმევს მათ შინაგან თავისუფლებას.

რადგანაც თავად რეფტილოიდები არ არიან თავისუფლები საკუთარ მოქმედებებში, ისინი აძალებენ ადამიანებს იცხოვრონ მათივე პროგრამებით, რამაც საბოლოოდ იმასთან მიგვიყვანა, რომ პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გადაიქცა ნაცრისფერ, ერთგვარ მასად, რომელიც ხელოვნურად შექმნილი შაბლონების მიხედვით ცხოვრობს.

ამგვარად, ადამიანებზე თავსმოხვეულმა სტერეოტიპებმა, რომლებიც ეხებოდა აზროვნებას, ქმედებას და ცხოვრების წესს, შეიტყუა ადამიანთა ცნობიერება “მახეში”, რომელიც რეფტილოიდების მიერ მოქნილად და დაგებული ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე, დაწყებული ბავშვობიდან.

და მხოლოდ ახლა, როდესაც ადამიანებს გაუმხილეს ცოდნა მათი და მთლიანად პლანეტის შესახებ, ძველმა სულებმა დაიწყეს გამოღვიძება.

რალათქმაუნდა, ამას ხელს უწყობს დედამიწაზე წამოსული ახალი მაღალვიბრაციული ენერგიებიც.

მაგრამ ამ ენერგიებთან რეზონანსში შესვლა შეუძლია მხოლოდ ადამიანთა სულებს, რომლებსაც ღვთაებრივი ჩაკრალური სისტემა აქვთ.

მაგალითად რეფტილოიდებს და კლონებს, მათი სურვილისდა მიუხედავად, არ შეუძლიათ გადალახონ აუციელებელი ვიბრაციული ბარიერი მეხუთე განზომილებაში გადასასვლელად. ეს ხდება იმიტომ, რომ არ აქვთ მათ ის ნატიფი ორგანოები, რომლებიც ამ ენერგიებს შეესაბამება.

რაც შეეხება ადამიანთა სხეულში ინკარნირებულ სხვა პლანეტების წარმომადგენლებს, დედამიწასთან ერთად მეხუთე განზომილებაში გადასვლა შეეძლებათ მხოლოდ მათ, ვისი ენერგეტიკული სტრუქტურაც შეძლებს გაუძლოს ასეთ მაღალ ვიბრაციებს.



## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

სამწუხაროდ, ბევრი ახალგაზრდა ადამიანის სული, რომელიც მესამე განზომილების “თამაშებითაა” გართული, ვერ შეძლებს მიწვდეს ცნობიერებით იმ დონეს, რომელიც საჭიროა ახალ დედამიწაზე გადასასვლელად.

და მათაც მოუწევთ ფარდის მეორე მხარეს დარჩენა, მაგრამ ეს იქნება მათი არჩევანი – მათი სულის განვითარების გზა.

ამისათვის მზად უნდა იყოთ, ჩემო ძვირფასებო. და მე ვიცი, რომ თქვენთვის სწორედ ეს არის მთავარი წინაღობა ამალლებისკენ მიმავალ გზაზე.

თქვენ თვლით ახლობლების მიმართ ღალატად, თუ მათ გარეშე გადახვალთ ახალ ენერგეტიკულ დონეზე.

მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემო ძვირფასებო, ეს მიწიერი მიჯაჭვულობა თქვენი ოჯახისადმი, მეხუთე განზომილების სიმაღლიდან მოგეჩვენებათ სრულიად სხვაგვარად.

ენერგეტიკული გაყოფა, რომელიც თქვენ დაგაშორებთ, იქნება მათი სულებისათვის გადამრჩენელი, რადგანაც ამ სიმაღლიდან, რომელზედაც თქვენ ახვალთ, თქვენ შეგეძლებათ მათთან იურთიერთქმედოთ უკვე სრულიად სხვა დონეზე. თქვენ შეგიძლიათ გახდეთ მათი ერთგვარი მფარველი ანგელოზები.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ კი არ უნდა დაეშვათ თქვენი ახლობლების დონეზე წამიერი გრძნობების გამო, არამედ ისინი უნდა ამოვიდნენ თქვენს დონემდე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოხდება მათ შემდეგ ცხოვრებაში.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან გზავნილი მიიღო მართამ 19 დეკემბერი 2019წ.

## მიწაზე და ზეცაში

მამა აბსოლუტი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე გავაგრძელებ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორი ცვლლებები მოხდა თქვენს პლანეტაზე მოცემულ წელიწადს.

კარდინალური ცვლილებების გარდა, რომლებიც ეხბოდა დედამიწის მაღალვიბრაციული ენერგიებით ავსებას, მოხდა ბევრი ცვლილება ფიზიკურ სამყაროშიც. ბევრი მათგანი ინიცირებული იყო ბნელი ძალების მიერ და მიზანს ისახავდა დედამიწელებისთვის ხელის შეშლას ახალ დონეზე გადასვლაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბნელი და ნათელი ძალების ბრძოლა შევიდა ამ წელს დასასრულის სტადიაში.

საზოგადოების დაყოფამ მიაღწია პიკს არა მხოლოდ ენერგეტიკული – სულიერი – თვალსაზრისით, არამედ ფიზიკური – მატერიალური კუთხითაც.

და აი რას ვგულისხმობ მე.

## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

რეფტილოიდებმა იგრძნეს საკუთარი უძლურება ამაღლების თემასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველ დღე უფრო მეტ ძალას იძენს და რომლის შეჩერებაც უკვე შეუძლებელია, და მიიღეს სასოწარკვეთილი გადაწყვეტილება, რათა ძალაუფლება შეენარჩუნებინათ.

ამჯერად, მათი მთავარი იარაღი გახდა ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ადამიანის ცნობიერების მართვას შესაძლებელს ხდის.

ჩრდილში მყოფი მსოფლიო მმართველობის ზეწოლის გამო, რომელთა სათავეშიც რეფტილოიდები არიან, ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობს თანმიმდევრულად შემოიტანოს ადამიანისათვის ისეთი დამლუპველი სიახლეები როგორცაა: მასობრივი ჩიპირება, ძალდატანებითი ვაქცინაცია, საკუთარი ქვეყნების ტერიტორიაზე 5G მოწყობილობების განლაგება. ეს ტექნოლოგიები გახდება საბოლოო გამშვები მექანიზმი, რომელიც დაეხმარება მათ გააკონტროლონ პლანეტის ყოველი მაცხოვრებელი და თავისუფლად მართონ მათი (მოსახლეობის) გონება.

და როგორც ყოველთვის, ადამიანებისათვის ეს დამლუპველი გამოგონებები შემოტანლილია რეფტილოიდების მიერ ლამაზად და მომხიბლელი სახით.

ყველაფერი მათ მიერ კეთდება თანმიმდევრულად და კარგად დაგეგმილად.

ადამიანები როგორც ნარკოტიკს ისე შეაჩვიეს ინტერნეტს, მობილურ ტელეფონებს, ნავიგატორებს და მათ გარეშე მოსახლეობას საკუთარი არსებობა აღარ წარმოუდგენია.

ახლა კი ადამიანების უმრავლესობა მზადაა წავიდეს ყველაფერზე, რათა იქონიოს უფრო თანამედროვე მოწყობილობა.

სწორედ ამიტომ ბევრი ადამიანი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა, აღიქვამს ამ ახალ ტექნოლოგიებს აღფრთოვანებით და არც კი ფიქრობენ, თუ რა ფასის გადახდა მოუწევთ მათ ამისათვის.

ეს ფასი კი ჭეშმარიტად დიდია.

კაცობრიობას უწევს ამ ეგრეთ წოდებული “კონფორტისათვის” სავსაშუალოდ გადაიხადოს საკუთარი სუფთა სულელები – მათი გონება დამონებული იქნება, ისინი დაკარგავენ იდნდივიდუალურობას რასაც მოჰყვება პიროვნების სრული გაუფასურება.

ადამიანებს, რომლებმაც გააცნობიერეს სიტუაციის სრული ტრაგიკულობა, ფიზიკურ დონეზე ამასთან შეწინააღმდეგება ძალიან უჭირთ, რადგანაც პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება და მთელი მასმედია რეფტილოიდების ხელთაა.

მაგრამ, ყველაფრისდა მიუხედავად, იმავე ინტერნეტის წყალობით ჭეშმარიტი ინფორმაცია ვრცელდება საზოგადოებაში.

ამგვარად კაცობრიობა ერთდროულად აღმოჩნდა დაღუპვის პირას და გადარჩენის გზაზე.

ხოლო მოცემული სიტუაციის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ამჯერად ადამიანს შეუძლია გადარჩინოს საკუთარი თავი არა ძალისმიერი მეთოდებით, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ მხოლოდ ენერგეტიკულად.

ადამიანი მხოლოდ მაშინ შეძლებს შეეწინააღმდეგოს საკუთარ დამონებას და მოახერხებს მეხუთე განზომილებაში გადასვლას, როდესაც ის აწევს თავის ვიბრაციებს იმ დონეზე, სადაც ვერ “მისწვდება” რეფტილოიდების მიერ შექმნილი ახალი ტექნოლოგიები.

გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

მხოლოდ ადამიანების მიერ აღორძინებულ სულიერებას შეუძლია დაამარცხოს თანამედროვე მმართველების უსულობა.

ამგვარად თუ გახდებით დედამიწაზე სინათლე, ჩემო ძვირფასებო, თქვენ შეგეძლებათ გაანეიტრალოთ სიბნელე!

და მე გლოცავთ ამით!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

გზავნილი მიიღო მართამ 20 დეკემბერი 2019წ.

2020

### მეხუთე განზომილებაში გადასვლა (ამაღლების ელჩები)

მამა აბსოლუტი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მოგიყვებით იმ უცხოპლანეტური ცივილიზაციების წარმომადგენლების შესახებ, რომლებიც ადამიანთა სხეულში არიან ინკარნირებული კეთილი განზრახვებით – იმ მიზნით, რათა დაეხმარონ ადამიანებს გადავიდნენ სულიერი განვითარების ახალ დონეზე.

ძირითადად ესენი არიან ანდრომედას, სირიუსის, არკტურისა და პლეიადის წარმომადგენლები.

ორიონელებისგან განსვავებით, მათი რაოდენობა დედამიწაზე მცირეა და ისინი მოვიდნენ თქვენს პლანეტაზე სწორედ ახლა გარკვეული მიზნით.

ბევრ მათგანს, რომლებიც ინკარნირდნენ ადამიანთა სხეულებში, არ წაეშალათ მეხსიერება მათი წარმოშობისა და მისიის შესახებ.

რაში მდგომარეობას მათი მისია?

უპირველეს ყოვლისა, ისინი ცდილობენ დაეხმარონ კაცობრიობას ამაღლებაში, რაც არის უნიკალური ექსპერიმენტი მთელს სამყაროში.

ისინი აცნობიერებენ, რომ ადამიანებისათვის რთული იქნება შეეგუონ მეხუთე განზომილების ახალ რეალობას და ინკარნირდნენ თქვენს პლანეტაზე, რათა დაეხმარონ ადამიანებს ახალი ცხოვრების აშენებაში ახალ დედამიწაზე.

მათი მოსვლა დედამიწაზე ზედმიწევნით იგეგმებოდა და მათ ცხოვრებაში თავიდანვე იყო შექმნილი პირობები, რომლებიც დაეხმარებოდა მათ შესამე განზომილებაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევაში.

ისინი მოვიდნენ თქვენს პლანეტაზე საკუთარი ცივილიზაციის ცოდნითა და მეხუთე და მეექვსე განზომილების ცნობიერების დონით.

ცნობიერების ასეთმა მაღალმა დონემ მათ ხელი შეუწყო უკვე ბავშვობიდან წინასწარ განესჭვრეტათ ბევრი მოვლენა საკუთარ ცხოვრებაში და ამით შეძლეს მათ რეალობაში განეხორციელებინათ ყველაზე მიზანშეწონილი მოვლენები საკუთარი ფიქრისა და განზრახვის მერშვეობით.

ამის გარდა, ისინი იყვნენ მუდმივ კონტაქტში საკუთარ ვარსკვლავურ ოჯახებთან და საკუთარი ცივილიზაციის წარმომადგენლებთან, რომლებიც

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

აკორექტირებდნენ მათ მოქმედებას დედამიწის ნატიფ დონეზე მომხდარი მოვლენებისდა შესაბამისად.

შედეგად მათ შეინარჩუნეს დედამიწაზე კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა პოტენციალი, რადგანაც მესამე განზომილების პროგრამებმა თითქმის არ იქონია გავლენა მათ ცნობიერებაზე.

ისინი, როგორც მტრის ზურგში გადასროლილი მზვევავეები, ხედავენ ყველა უკანონობას და ტირანის, რომელიც რეფტილოიდებმა ჩაიდინეს ამ მშვენიერ პლანეტაზე. მაგრამ მათ აქამდე არ შეეძლოთ “თამაშში ჩარევა”, რადგანაც დედამიწის მოსახლეობის სრული უმეტესობა არ არის მზად სიმართლის მოსმენისათვის.

მაგრამ ისინი მოხეხებულად აკეთებენ საკუთარ საქმეს და ეძებენ ადამიანთა შორის იმათ, ვინც შემდგომში მათ დაეხმარებათ ახალი საზოგადოების აშენებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამზადებენ ავანგარდს ახალ დედამიწაზე საცხოვრებლად, ისინი გამოჰყოფენ ყველაზე ნათელ და სუფთა ადამიანის სულებს, რომლებიც სულით ძლიერები არიან და რომლებმაც სრულიად გააცნობიერეს თავიანთი ღვთაებრივი წარმოშობა.

ამ ცივილიზაციების ზოგიერთ წარმომადგენელს უკავია საკმაოდ მაღლი პოსტები რამოდენიმე ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებში.

მაგრამ ისინი უცდიან საკუთარ დროს.

როდესაც დედამიწაზე რეალურად დადგება კრიტიკული მომენტი, ადამიანები, რომლებმაც მომხდარის მთელი საშინლება გააცნობიერეს, მზად იქნებიან მოისმინონ სიმართლე იმის შესახებ, თუ რაც ხდება მათ პლანეტაზე და გაიგონ იმათზე, ვინც მიიყვანა კაცობრიობა კატასტროფამდე და გადაშენების პირამდე.

ხოლო მაშინ, როდესაც გააერთიანებენ ძალებს საკუთარ მოძმეებთან სხვა პლანეტებიდან და სამყაროს ზეციურ ძალებთან, რომლებიც დედამიწას კურირებენ, ეს შეუფასებელი დამხმარეები “ამოვლენ იატაკქვეშეთიდან” და უხელმძღვანელებენ დედამიწაზე ახალი საზოგადოების აღმშენებლობას.

ამ მოვლენის ლოდინი კი დიდხანს აღარ მოგიწევთ ჩემო ძვირფასებო.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან. გზავნილი მიიღო მართამ 26 დეკემბერი 2019წ.

## კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული

აშტარ შერანი, სინათლის გალაქტიკური ფედერაცია.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო დედამიწელებო!

იმან, თუ რის შესახებაც დღეს მოგიყვებით, არ უნდა გამოიწვიოს თქვენში არც შიში და არც პანიკა.



მე უბრალოდ მსურს, რომ გაგიმხილოთ ახლა მომხდარი მოვლენების შესახებ სიმართლე, რათა თქვენ გააცნობიეროთ, თუ რამდენად შორს შეტოპეს იმათ, ვინ დედამიწის უფროსებად თვლიან თავს.

უკვე არა ერთი ათწლეულია, რაც რეფტილოიდები და მათზე მომუშავე ადამიანები და სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლები (რომლებიც ახლა არიან ინკარნირებული დედამიწაზე) იმუშავენ ეგრეთ წოდებულ ვირუსების შტამებს და შესაბამის ვაქცინებს.

მათი გამოყენების მთავარი მიზანია – პლანეტის მოსახლეობის რეგულირება.

აქამდე ეს შტამები ინახებოდა სპეციალურ სანახებში, მაგრამ როდესაც ჩრდილში არსებული მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მოსახლეობის კიდევ ერთი შემცირების შესახებ, ისინი ავრცელებენ ამა თუ იმ ვირუსს (სიკვდილიანობის სასურველი პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით) იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც მათი თვალსაზრისით საჭიროებს კორექტირებას.

სწორედ ამიტომ “გაურკვეველი” გზით ვირუსები ყველაზე ხშირად ჩნდება ჩინეთში და აზიის სხვა ქვეყნებში.

მათ მიერ დათქმულ დროს გამოცხადდება იმის შესახებ, რომ წარმატებულად შემუშავდა ვაქცინა მოცემულ ვირუსთან საბრძოლველად და ამგვარად ისინი აჩერებენ ვირუსის გავრცელებას.

მაგრამ ის, რაც ახლა ჩინეთში ხდება უკვე გასცილდა ჩრდილოვანი მთავრობის ჩვეულ ქმედებებს.

ეს იმასთანაა კავშირში, რომ რეფტილოიდებმა და მათმა მოკავშირეებმა ბოლოს და ბოლოს გააცნობიერეს, რომ დედამიწის ვიბრაციის აწევის პროცესი და მასთან დაკავშირებული ამაღლება უკვე გარდაუვალია.

**მათ გადაწყვიტეს სასოწარკვეთილი ნაბიჯის გადადგმა – პლანეტის მოსახლეობაში შისისა და პანიკვის დათესვა იმიტომ, რომ საკუთარი სიცოცხლის და საკუთარი ახლობლების მიმართ გაგზავნილმა შიშის დიდმა ნაკადმა დაადაბლოს დედამიწის საერთო ვიბრაციული ფონი.**

და ეს მათი დღევანდელი ბოროტება უკვე იწყებს დანიშნული მიზნის შესრულებას.

იმის და მიუხედავად, რომ მოცემული ვირუსის ჭეშმარიტი მომაკვდინელობა ჯერ-ჯერობით დამალულია მოსახლეობისათვის, შიშმა უკვე დაიწყო მთელს პლანეტაზე გავრცელება და მოიცავს სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად პლანეტის ზოგადი ენერგეტიკული ფონი უფრო დაიწევს დაბლა.

ამ ვირუსისგან ვაქცინა უკვე დიდი ხანია რაც არსებობს, მაგრამ სანამ სამყაროს ბრძანებლები არ ჩათვლიან, რომ შესაბამისი დრო დადგა, ის გასაიდუმლოებული დარჩება.

ახლა კი, რათა მინიმალური გავხადოთ კაცობრიობის წინაშე ამ დანაშაულის შედეგები, მე მსურს გთხოვოთ შემდეგი.

რაც შეიძლება ხშირად მოუხმეთ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას და სთხოვეთ მას გაანეიტრალოს შიში და პანიკა, რომელიც წარმოიქმნა კაცობრიობის კოლექტიურ ცნობიერში.

## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

დასახმარებლად მოუხმთ სამყაროს ყველა ზეციურ ძალას და ასევე სინათლის გალაქტიკური ფედერაციის წარმომადგენლებს.

რაც თქვენ გეხებათ, იცოდეთ, რომ ადამიანები, რომლებსაც მინიმუმ მეხუთე ჩაკრის ვიბრაციები აქვთ არიან იმუნური ამ ახალი ვირუსისგან, რადგანაც ის მომართულია მესამე განზომილების მაცხოვრებლებზე, რომლებიც ვიბრირებენ პირველ, მეორე, მესამე და მაქსიმუმ მეოთხე ჩაკრაზე.

დასკვნისათვის, მე მსურს გითხრათ, რომ ახლა დედამიწაზე ბნელი და ნათელი ძალების ბრძოლა შევიდა გადამწყვეტ ფაზაში.

და ყოველ თქვენგანს შეუძლია შეიტანოს საკუთარი წვლილი ამ ისტორიულ პროცესში, რომელიც ადამიანებისა და მთლი თქვენი პლანეტის გადარჩენას ეხება. ამისათვის თქვენ უნდა აწიოთ მახლა თქვენი ვიბრაციები, რაც გამოიწვევს ადამიანთა კოლექტიური ცნობიერის ვიბრაციების აწევასაც.

ჩვენ კი ჩვენი მხრივ ყველანაირად დაგეხმარებით ამაში.

აშტარ შერანი, რომელსაც ჭემმარიტად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან მთელი სინათლის გალაქტიკური ფედერაციის სახელით.

გზავნილი მიიღო მართამ 27 იანვარი 2020წ.

## შეაჩერეთ ენერგეტიკული ქაოსი

18

აშტარ შერანი, სინათლის გალაქტიკური ფედერაცია.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო დედამიწელებო!

მე მოვედი თქვენთან, რათა მოგიყვებო, თუ რა გელოდებათ გაზაფხულის ამ გამორჩეულ პირველ თვეს.

2020 წლის მარტი შევა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერების შემოწმება მის მდგრადობასა და გამძლეობაზე.

სწორედ ეხლა იწყება ადამიანების დაყოფა იმათ, ვინც ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნებს ღირსების შეგრძნებას და იმათ, ვინც დაექვემდებარება ბრბოს ნებას და ჩავარდება შიშსა და პანიკაში საკუთარი და ახლობლების სიცოცხლის გამო.

როგორც უკვე ვთქვი ჩემს წინა გზავნილში, კორონავირუსი დანერგეს ხელოვნური გზით რეფტილოიდების მიერ განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

და ახლა ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ყველაზე დაბალი ვიბრაციის ენერგიებმა მოიცვას მაქსიმალურად ბევრი ადამიანის ცნობიერება თქვენს პლანეტაზე. და სწორედ ეს ხდება ახლა.

ჯერ კიდევ, არც ერთ ხელისუფლებას არ შეუძლია გამოიმუშავოს სწორად მოქმედების გეგმა. ისინი გადადიან უკიდურესობებში, კეტავენ საზღვრებს, აუქმებენ მასობრივ ღონისძიებებს, კარანტინში აჰყავთ კონკრეტული ქალაქები და დასახლებები, ხოლო სხვები არ დგამენ პრაქტიკულად არანაირ ნაბიჯებს.

რეალურად კი, ერთადერი საშუალება, რომელიც თქვენ დაგიცავთ ამ ვირუსისგან, და სხვებისგან, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს დედამიწაზე უახლოეს

## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

პერიოდში, არის, თქვენი მშვიდი დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც ხდება. ეს დაეხმარებათ შეინარჩუნოთ თქვენი ვიბრაციები ნებისმიერი ვირუსისათვის მიუწვდომელ დონეზე.

აუხსენით ეს, ჩემო ძვირფასებო, ვინც მზადაა ამას მოუსმინოს, შეაჩერეთ სულ უფრო და უფრო ზრდადი ქაოსი, რომელიც განმოიწვევს სხვა მძიმე შედეგებსაც.

როგორც თქვენ იცით, ყველაზე ძლიერი და დამანგრეველი ბუნებრივი სტიქიები ხდება მაშინ, როდესაც დედამიწაზე ენერგეტიკული დისჰარმონია პიკს აღწევს. მაგრამ ახლა დედამიწაზე წარმოიქმნა უნიკალური სიტუაცია, როდესაც თავის პიკს მიაღწია თქვენი პლანეტის მეხუთე განზომილებაში ასვლის პროცესმაც.

ის, რომ ბნელი ძალები ცდილობენ შეინარჩუნონ საკუთარი პოზიციები ადამიანებისათვის მომავდინებელი ვირუსის გავრცელებით, არის ის საშუალება, რომლის მერმეობითაც ისინი ცდილობენ შეაჩერონ თქვენი პლანეტის ახალ ენერგეტიკულ გარემოში გადასვლა.

ახლა კი ბევრი რამე თქვენზეა დამოკიდებული - იმათზე, ვინც ხედავთ დედამიწაზე არსებული ქაოსის ჭეშმარიტ მიზეზებს.

უფრო კონკრეტულად რა უნდა იღონოთ ამ სიტუაციაში?

რაც შეიძლება ხშირად გააკეთეთ მედიტაციები ადამიანების კოლექტიური ცნობიერის ჰარმონიზაციისათვის და მასში ხელოვნურად ჩანერგილი ნეგატიური პროგრამების განეიტრალებისათვის. აავსეთ კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერება ამაღლების ენერგიით. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, შეეცადეთ, რომ თქვენ თავად იყოთ ამ ენერგიის ნაკადში მუდმივად, რითიც გაავრცელებთ მას სხვა ადამიანებზეც.

ყოველთვის მომიხმეთ მე და სინათლის გალაქტიკური ფედერაციის წარმომადგენლები და თქვენი ზეციური დამხმარენი მხარში ამოსადგომად. გახდით ღვთაებრივი “შუამავლები” ჩვენსა და ადამიანებს შორის, რაც დაეხმარება კაცობრიობას ამაღლებისაკენ (რომელიც არც თუ ისე შორსაა) მიმავალ გზაზე ამ ბოლო წინაღობის გადალახვაში.

აშტარ შერანი, რომელსაც გულწრფელად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან სინათლის გალაქტიკური ფედერაციის სახელით.

გზავნილი მიიღო მართამ 1 მარტი 2020 წ.

## დედამიწის დახმარება

მამა აბსოლუტი, პრაქტიკები

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გადავუხვევთ ჩვენი თემიდან და ვისაუბრებთ, კორონავირუსზე, რომელიც ასე აშინებს ადამიანებს და შეაქვს მათ ცხოვრებაში ქაოსი.

როგორც თქვენ იცით, ის იყო შექმნილი დიდი ხნის წინ და მისი გამოშვება გარეთ წინასწარ იყო დაგეგმილი თქვენი პლანეტის ჩრდილში მყოფი მმართველობის მიერ.

რატომ გამოჩნდა ის სწოორედ ახლა?

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

მიზეზები რამოდენიმე იყო, მაგრამ უმთავრესი მდგომარეობს იმაში, რომ სამყაროს ახლანდელმა მბრძანებლებმა იგრძნეს თავიანთი გარდაუვალი დასასრული. მათ, დედამიწაზე მყოფი უმრავლესობა მოსახლეობისგან განსხვავებით, კარგაც იციან, თუ როგორი პროცესები ხდება მასზე და მის ირგვლივ. მათ იციან ამაღლების უმცირესი დეტალებიც კი, მაგრამ ამის ადამიანებისათვის მოყოლა მათ ინტერესებში არ შედის.

მათი მიზანია მთელი ძალებით შეეწინააღმდეგონ ამ პროცესს. ხოლო რადგანაც მათ იციან, რომ დადგა ენერჯის და არა სიტყვის ერა, ისინი ახლა ცდილობენ ენერჯიაც გადააქციონ “იარაღად”, რადგანაც დააკავთ ადამიანები საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ. მათ შემთხვევაში, ამაღლების შეწინააღმდეგება შეიძლება მოხდეს, მხოლოდ დედამიწის და კაცობრიობის ენერგეტიკული ფონის ხელოვნურად დადაბლებით.

სწორედ ამას აკეთებენ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი მატერიალური ინტერესების წინააღმდეგ მიდიან. საქმე თავიანთ გადარჩენას ეხება, ამიტომაც ისინი მზად არიან დათმონ ფულიც კი და დაანგრიონ მსოფლიო ეკონომიკა საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ.

ისტორიამ, რომელიც მათ შექმნეს კორონა ვირუსის შესახებ ყველა მასიური საინფორმაციო საშუალების დახმარებით, მიგვიყვანა იქამდე, რომ დედამიწაზე უმრავლესობა ადამიანი შეიბყრო შიშმა და მისმა ყველა გამოვლინებამ. ხოლო ეს ძლიერი ნეგატიური ემოციები უფრო მეტად სახიფათო და “დამაავადებელია” ვიდრე თვითონ ვირუსი, რომელსაც არ შეუძლია მოხვდეს იმ ადამიანის ენერგეტიკულ ველში, რომლის ენერჯიებიც საკმარისად მაღალია.

ამგვარად, რეგტილოიდების კოლექტიური ცნობიერება უხეშად დაუპირისპირდა ადამიანების კოლექტიურ ცნობიერს. უპირატესობა ჯერ-ჯერობით მათ მხარესაა, რადგანაც მათ ხელთ აქვთ ძალაუფლება, ფული და მასმედიის ყველა ინსტრუმენტი.

ერთობლივი ქმედებებით, მათ შეძლეს მნიშვნელოვნად შეემცირებინათ დედამიწის ვიბრაციული ფონი და მოხდა ეს სწორედ იმ დროს, როდესაც ის საბოლოოდ უნდა გამოსულიყო მესამე განზომილების რეალობიდან და გადასულიყო მეხუთე განზომილებაში.

ახლა კი, ჩემო ძვირფასებო, თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მას გადალახოს ეს ბოლო წინაღობა და აღიდგინოს ენერგეტიკული სისუფთავე. **ამიტომაც გთხოვთ ყოველ დღე ჩაატაროთ შემდგომი მედიტაცია, რომელსაც დავარქმევთ: “დახმარება დედამიწას”.**

შედით წყნარ და მშვიდ მდგომარეობაში, მოუხმეთ დასახმარებლად ყველა თქვენს ზეციურ მფარველს, სთხოვეთ სამყაროს სიყვარულის ცეცხლს გაწმინდოს დედამიწა ყველა დაბალვიბრაციული ენერჯისაგან, შიშისაგან, პანიკასაგან და ქაოსის შედეგები მინიმალურ დონემდე დაიყვანოს.

როდესაც ენერჯის ნაკადი შემცირდება, შედით დედამიწასთან რეზონანსში. შეიგრძენით მისი ვიბრაციები – მისი “პულსი”, მისი სუნთქვა...

ამის შემდეგ მოუხმეთ ამაღლების ენერჯიას და სთხოვეთ აავსოს მთელი თქვენი შინაგანი არსი... შეიგრძენით, თუ როგორ შემოდის ის თქვენში თქვენი ოქროს სამკუთხედის გავლით და ნელა ეშვება დაბლა და ავსებს ერთი მეორეს მიყოლებით ყველა თქვენს ჩაკრას და მაქსიმალურად ავრცობს მათ და ზრდის ზომაში...



## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

როდესაც ენერგია მიაღწევს პირველ ჩაკრას, თქვენ გადაიქცევით უზარმაზარ მნათობ ბოძაად, რომელიც მიმართავს ამ ენერგიას დაბლა და აავსებს დედა-მიწის სხეულს მის ბირთვამდე...

ამგვარად თქვენ სრულიად შეერწყებით მას ენერგეტიკულად და ერთად გადალახავთ ერთი განზომილებიდან მეორეში გასასვლის ამ რთულ პერიოდს.

გლოცავთ და განუზომლად მიყვარხართ!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან

## საათი “X”

აშტარ შერანი, სინათლის გალაქტიკური ფედერაცია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო დედამიწელებო!

აი დადგა თქვენს პლანეტაზე საათი “X” და ყველაფერი დაფარული გახდა ნათელი

თქვენ დაინახეთ, თუ რამდენად მსხვრევადია თქვენი სამყარო და რამდენადაა დამოკიდებული ის “ადამიანების” მცირე ჯგუფზე, რომლებმაც თქვენს ლამაზ პლანეტაზე ხელთ იგდეს ძალაუფლება.

სულ რაღაც რამოდენიმე თვეში, მათ შეძლეს გადაექციათ მთლიანი დედამიწა დიდ ციხეხ და შემოიღეს პრაქტიკულად სამხედრო მდგომარეობა ყველა წამყვან ქვეყანაში.

წამიერად დაინგრა მილიონობით ადამიანის ჩვეული ცხოვრება, განიყვნენ ოჯახები, მეგობრები, ასი ათასობით ადამიანს წაართვეს არსებობისათვის საჭირო სახსრები, ფრენები გაჩერებულია, გადაადგილება შეზღუდულია არამხოლოდ მსოფლიოში, არამედ ქვეყნების შიგნითაც.

ადამიანები გადაიქცნენ შიშით და პანიკით შეპყრობილ ბრბოდ, რომლებიც ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ არ დარჩნენ საკვების გარეშე, როგორ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და მოწყობილი ცხოვრება.

როგორც ხედავთ, ადამიანებმა ვერ შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობებისათვის, ხოლო მთავრობებმა ჩრდილში მყოფი მმართველების ზეწოლას ვერ გაუძლეს, რომლებმაც ანახეს, თუ ვინ მართავს სამყაროს...

რატომ მოხდა ეს?

როგორ შეძლო ამ მცირე არაადამიანების ჯგუფმა, შეთხზული მიზეზებით, ასეთ მცირე პერიოდში გადაექცია მთელი მსოფლიო დამჯერ ბრბოდ?

ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შეძლეს დაედაბლებინათ ყველა დანარჩენი საკუთარ ენერგეტიკულ დონემდე. ისინი აბეგრებდნენ დაბალი ვიბრაციის ენერგიებს

მასმედიის მერშვეობით და აწესებდნენ შიშისა და პანიკის მომგვრელ “უსაფრთხოების ზომებს”

ამგვარად, მათ დააძალეს ადამიანები “ეთამაშათ მათ მოედანზე”, რაც დაეხმარა მათ ძალაუფლების შენარჩუნებაში.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ იძირებიან, ისინი თან ითრევენ მილიონობით ადამიანსაც. ისინი ეჭიდებიან ადამიანებს და ცდილობენ გაჩერდნენ არსებობის მათთვის ჩვეულ პრიობებში, რაც შეიძლება დიდი ხანი.

ამ არსებებს სძულთ ადამიანები, ისინი სიამოვნებას იღებენ მათივე შექმნილი ისტერიის ყურებით და ასევე ამაყობენ იმით, რომ ადამიანების უმრავლესობა გადააქციეს დამჯერ მარიონეტებად, რომლებიც მათზე არიან სრულიად დამოკიდებულნი.

ამასთან ერთად, ისინი ვერ ეგუებიან იმ აზრს, რომ პლანეტა, რომელიც მათ დაიმონეს და რომელზედაც თავს სრულუფლებიან ბატონებად გრძნობდნენ, ხელებიდან ეცლებათ. ახლა კი ისინი მოქმედებენ პრინციპით “არც მე და არც სხვას”.

**რეპტილოიდების ამ ბოლო აგონიამ დედამიწაზე განახათ, თუ რამდენად არ არის თავისუფალი ადამიანის ცნობიერება.**

მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს ამ ფარსის ხელოვნურობის დანახვა და შეგრძნება. ისინი, ყველაფრისდა მიუხედავად, დარჩნენ სულით მშვიდები და დარწმუნებულები იმაში, რომ სუფთა ადამიანის სული და ზეციური ძალები შეძლებენ ჩაიდინონ სასწაული და შეაჩერონ დედამიწაზე ეს ქაოსი, რომელიც რეპტილოიდების ზედა კასტის მიერ არის ინიცირებული.

და თქვენ – ვინც კითხულობთ ამ გზავნილს ხართ ეს “ერთეულები”. მაგრამ მერწმუნეთ, ჩემო ძვირფასებო, ყოველი თქვენგანი უტოლდება ათასობით ადამიანს, რომელიც პანიკას აყვამ. და თქვენს ძალებში შედის სასწაულის ჩადენა, თუ შეინარჩუნებთ საკუთარ მაღალ ვიბრაციებს და აავსებთ კაცობრიობის კოლექტიურ ცნობიერებას და თქვენს მშვენიერ პლანეტას ამაღლების ენერგიით.

რაც შეიძლება ხშირად გააკეთეთ ის მედიტაციები, რომლებსაც მამა გკარნახობთ, გაანეიტრალეთ ყველა ნეგატიური ემოცია, რომლებსაც გენერირებენ მილიონობით ადამიანი მთელს პლანეტაზე. ასევე გაუგზავნეთ დედამიწას მაღალვიბრაციული და ღვთაებრივი ენერგიები რითიც გახდებით ამ ენერგიების ცოცხალი გამტარები.

იმავეს ვაკეთებთ ნატიფ დონეზე ჩვენ და ყურადღებით ვაკვირდებით თქვენს პლანეტაზე მომხდარ მოვლენებს.

მიყვარხართ და მჯერა თქვენი ძალების.

აშტარ შერანი საუბრობდა თქვენთან სინათლის გალაქტიკური ფედერაციის სახელით.

გზავნილი მიიღო მართამ 17 პარტი 2020 წ.

## ახალ დედამიწაზე ცხოვრება (როგორ დაიცვათ საკუთარი ენერგეტიკული გარემო უცხო ენერგიების გავლენისგან)

### მამა აბსოლუტი

მოგესალამებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვათ თქვენი ენერგეტიკული სივრცე იმ ნეგატიური ენერგიებისგან, რომლების გაკონტროლებაც თავად არ შეგიძლიათ.

თუ თქვენ პასუხს აგებთ იმ ენერგიის ხარისხზე, რომელსაც გარეთ ასხივებთ (ამის შესახებ ჩემს წინა გზავნილში იყო საუბარი), გარემომცველი ადამიანების ენერგიაზე პასუხის გება თქვენ არ შეგიძლიათ. თქვენ მხოლოდ ის გრჩებათ, რომ ისწავლოთ საკუთარი თავის დაცვა მათგან, თქვენ არ უნდა დაუშვათ უცხო ენერგიების შემოსვლა თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში.

ბევრი თქვენგანი აკეთებს საკმაოდ საიმედო დაცვას, მაგრამ ზოგჯერ ის ვერ უძლებს ნეგატივის ნაკადს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თქვენს ახლობლებს ან როცა ნეგატიური ინფორმაცია ყველა მხრიდან მოედინება.

ამჟამად, როდესაც ბნელი და ნათელი ძალების ბრძოლამ მიაღწია თავის პიკს, ისისი, ვის ხელშიც არის ძალაუფლება, ფინანსები და მასმედია, ცდილობენ ყოველი საშუალებით დათესონ საზოგადოებაში შიში და პანიკა. ისინი იყენებენ “აკრძალულ ილეთებს”: მტკნარი წყლის სიცრუეს, ნახევრად სიმართლეს ნახევრად ტყუილს (რაც ზოგჯერ ტყუილზე უარესიცაა), მასიური შეტევას ადამიანებისათვის შემაშინებელი ინფორმაციით და ბევრ სხვას. ამის ნათელი მაგალითია მთელს მსოფლიოში გავრცელებული კამპანია კორონავირუსთან ბრძოლის შესახებ.

რეალურად მისგან ვაქცინა უკვე დიდი ხანია არსებობს, რადგანაც თვითონ ვირუსიც ხელოვნური გზითაა შემუშავებული და მხოლოდ საკუთარ დროს ელოდებოდა გამოსაშვებად. ხოლო ის გამოშვებული იყო სწორედ მაშინ, როდესაც ამა სოფლის ძლიერმან გადაწყვიტეს, რომ დადგა ამისათვის შესაბამისი მომენტი.

ვირუსის გამოშვებას ქონდა ბევრი მიზეზი, მაგრამ მთავარი მათგანი იყო შიში საკუთარი სიცოცხლის მიმართ, რადგანაც მათ არ შეუძლიათ გადავიდნენ ახალ განზომილებაში დედამიწასთან ერთად და მათ ძალიან არ სურთ ძალაუფლებისა და ფულის დათმობა.

მაგრამ ახლა საუბარი მიდის არა მათზე, არამედ თქვენზე, ჩემო ძვირფასებო - ვინც აირჩიეთ ამალეობა. როგორ დაიცვათ თქვენი თავი იმ ნეგატიური ენერგიებისგან, რომლებიც თქვენსკენ მოედინება ყოველი მხრიდან?

პირველ რიგში: თავად მსოფლიოში მომხდარი მოვლემობის გააზრება ღვთაებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით უკვე არის დაცვა განსჯისგან, რომელიც უკვე შეიცავს დაბალი ვიბრაციის ენერგიებს. როდესაც თქვენ ხედავთ მოვლენათა ჭეშმარიტ არს და არა იმას, რასაც გარედან თავს გახვევენ, თვენ ხდებით შეუღწევადი. შედეგად, მთელი გავრცობილი ისტერია მსოფლიოში მომხდარი ნეგატიური მოვლენების გამო თქვენ არ შეგეხებათ - ძალიან დიდი იქნება თქვენს და ამ მოვლენებს შორის ვიბრაციული განსხვავება.

გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

მეორეს მხრივ: ძალიან მნიშვნელოვანია რომ არ ჩაერთოთ ნეგატიური ხასიათის მოვლენების განხილვაში.

ამოირჩიეთ თვენთვის შესაფერისი ფორმულა, რომელიც დაგეხმარებათ არასასურველი დისკუსიი თავიდან აცილებაში.

თქვენი როლი, ჩემო ძვირფასებო, მდგომარეობს სხვა რამეში – არა უსასრულო განხილვაში ადამიანებისათვის ტრაგიკული მოვლენებისა, რაც უფრო მეტად აავსებს ადამიანებსაც და ამ მოვლენებსაც ნეგატიური ენერგიებით, არამედ მოქმედებაში, რომელიც ხდება სიჩუმეში.

თქვენ შეგიძლიათ მინიმუმანდე დაიყვანოთ ნებისმიერი ტრაგედიის შედეგები, თუ მათ აავსებთ ღვთაებრივი ენერგიებით და თქვენი სუფთა განზრახვით, რომელიც ამ სიტუაციის გადაჭრისაკენ იქნება მიმართული ყველასათვის სასიკეთო გზით.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან. გზავილი მიიღო მართამ 4 მარტი 2020წ.

## მონობისგან განთავისუფლება

მამა აბსოლუტი, პრაქტიკები

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ახლა, როდესაც რეფტილოიდების აგონიამ და მასთან დაკავშირებულმა ქაოსმა თავის პიკს მიაღწია, მე მსურს გთხოვოთ ყოველ დღე გააკეთოთ მედიტაცია, რომელიც მიმართულია ადამიანების კოლექტიური გონის რეფტილოიდების კოლექტიური ცნობიერებისგან გამოყოფისაკენ.

დავარქვათ მას “მონობისგან განთავისუფლება”.

ამისათვის, თქვენ უნდა მოუხმოთ სამყაროს ყველა ზეციურ ძალას, ყველა თქვენს გალაქტიკურ ძმას, საკუთარ ვარსკვლავურ ოჯახს, საკუთარი სულის ყველა ზედა ასპექტს და შეხვიდეთ საკმაოდ ღრმა მედიტაციურ მდგომარეობაში.

შემდეგ მოუხმეთ სამყაროს სიყვარულის ცეცხლს და სთხოვეთ დაწვას ყველა პროგრამა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში რეფტილოიდებმა ჩანერგეს ადამიანთა კოლექტიურ ცნობიერებაში.

იმუშავეთ ერთდროულად მთელს დედამიწასთან. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ადამიანების კოლექტიური ცნობიერება დიდი ადამიანის სილუეტის სახით, ხოლო რეფტილოიდების კოლექტიური გონი რეფტილიის სახით.

დაწვით სამყაროს სიყვარულის ცეცხლით ყველა ენერგეტიკული არხი, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს, დაწვით რეფტილოიდების მთელი ენერგეტიკული სტრუქტურა, რომელიც აბლაბუდის მსგავსად შემოეხვია მთელს დედამიწას...

მაგრამ, ამასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემო ძვირფასებო, არ დაუშვათ საკუთარ სულში ნეგატივი - სიძულვილის, აგრესიის და სიბრაზის გრძნობები.

სულიერი განვითარების ცენტრი “ალორძინება”

## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

გააკეთეთ ეს მედიტაცია მშვიდად და გაცნობიერებულად, იმის გააზრებით, რომ ყოველმა მათგანმა უკვე ითამაშა საკუთარი როლი დედამიწაზე იმ სცენარების მიხედვით, რომელიც აირჩია ყოველმა ცალკეულმა სულმა - გინდ ადამიანის და გინდაც რეფტილოიდის სულებმა.

წარმოიდგინეთ თქვენი თავი ზღაპრის გმირად, რომელიც ლამაზ პრინცესას - ადამიანის სუფთა სულს – ათავისუფლებს მრავალთავიანი, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის კლანჭებისგან, რომელსაც პრინცესა მრავალი საუკუნე ჰყავდა ტყვეობაში.

ხოლო როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეთ თავად დრაკონთან?

ისეთივე, როგორიც მსხვერპლთან! რადგანაც არცერთი მისი “თავი” თავისუფალი არ არის და იმართება ერთი “სხეულით”, რომელშიც მხოლოდ სამი ჩაკრაა, რომლებიც გამიზნულია პრიმიტიული გადარჩანისთვის და სრულიად არ ფლობს სულიერებას.

მას, ადამიანისგან განსხვავებით, რომელსაც ღვთაებრივი სული და თავისუფალი ნება აქვს, არ შეუძლია საკუთარი “უფროსის” ზეგავლენიდან გამოვიდეს...

მაგრამ არც თქვენ, ჩემო ძვირფასებო, უკვე აღარ შეგიძლიათ მის დაქვემდებარებაში ყოფნა. მოვიდა დრო მონობისგან გასათავისუფლებლად და დედამიწასთან ერთად ასამალვებლად ახალ, მშვენიერ რეალობაში, რომელსაც ასე მოელის თქვენი სული.

გლოცავთ ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

გზავნილი მიიღო მართამ 19 მარტი 2020წ.

## უბედურება რომ არ არსებულიყო არც ბედნიერება იარსებებდა

მამა აბსოლუტი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს მოგიყვებ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს თქვენი მუშაობა ნატიფ დონეზე იმ პროცესებზე, რომლებიც ახლა ხდება დედამიწაზე.

მე მახარებს, რომ ყოველი თქვენგანი, რომელიც კითხულობს ჩემს გზავნილებს რეაგირებს მათზე მოქმედებით და შემოქმედებითად. მედიტაციებს, რომლებსაც თქვენ აკეთებთ ჭეშმარიტად შეუფასებელია, ისევე, როგორც შეუფასებელია ყოველი სუფთა ადამიანის სული, რომელიც დედამიწაზე მოვიდა ამ რთულ პერიოდში.

ახლა კი, როდესაც თქვენს პლანეტაზე გამეფდა ქაოსი, რომელიც მთავრობების (რომლებიც თავის მხრივ ჩრდილში მყოფი მმართველების ბრძანებებს ემორჩილებიან) არაადეკვატური რეაქციით არის გამოწვეული, სწორედ თქვენ თქვენი მედიტაციებით, სინათლითა და სიყვარულით, რომელიც მსოფლიოში შემოგაქვთ, ეხმარებით ადამიანებს შეინარჩუნონ სიმშვიდე, იუმორის გრძნობა და უწყობთ ხელს მოვლენების ღრმა აზრის გაგებაში და იცავთ იმ ტყუილისგან, რომელსაც ცდილობს თავს მოახვიოს საზოგადოებას მთელი მასიური საინფორმაციო საშუალებები.



## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

რეფტილოიდებმა უნებურად დახმარება გაუწიეს ადამიანებს საკუთარი მკაცრი ქმედებებით. მათ შეაჩერეს ადამიანების უსასრულო ლტოლვა მატერიალური სიკეთეებისაკენ. როდესაც ადამიანები კარანტინში ჩასვეს, მათ მისცეს ხალხს შესაძლებლობა საკუთარი ცხოვრებისა და საკუთარი სულის შესახებ ეფიქრათ, გაეცნობიერებინათ მომხდარი მოვლენები და გაეკეთებინათ ფასეულობების გლობალური გადაფასება.

თქვენ კი, ჩემო ძვირფასებო, შეიტანეთ ამაში საკმაოდ დიდი წილი. და აი რა ხდება ახლა დედამიწის ნატიფ დონეზე.

დაიწყო ადამიანების ცნობიერების მასიური გამოყოფა რეფტილოიდების ცნობიერებისგან. ფიზიკურ დონეზე ეს გამოიხატება რეფტილოიდების დაბნეულობაში და იმის ვერ გაგებაში, თუ რატომ აღარ ეშინიათ ადამიანებს (რაც მათი მოქმედების მთავარი მიზანი იყო) და ამის ნაცვლად რატო იწყებენ ხუმრობას, სიმღედების მღერას ქუჩებში და ერთმანეთის დახმარებას. იმის გამო, რომ რეფტილოიდებს ღვთაებრივი ნატიფი ორგანოები არ აქვთ, მათ არ შეუძლიათ გაუგონ ადამიანებს, რომლებისათვისაც უპირატესია სწორედ ეს ორგანოები.

ისინი იაზრებენ, რომ ადამიანების საკუთარ ენერგეტიკულ დონემდე დაცემის მცდელობები წარუმატებლად დამთავრდა და რომ პანიკამ და შიშმა ძირითადად რიგითი რეფტილოიდები, მრავალრიცხოვანი კლონები და უცხოპლანეტური ცივილიზაციის წარმომადგენლები (რომლებიც დედამიწაზე არიან ინკარნირებულნი) მოიცვა.

ამგვარად, დედამიწის მოსახლეობის ბუნებრივი გადარჩევის პროცესი სრული სვლით მიდის და ნათელია იმათთვისაც კი, ვისაც არანაირი შეხება არ აქვს ამალღების თემასთან.

რატომ ხდება ეს?

დიდწილად სწორედ თქვენი დამსახურებით, რადგანაც თქვენს მიერ გამოსხივებული მაღალი ვიბრაციები შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ადამიანებს. სწორედ ამ ახალი ენერგიების წყალობით, მათი ცნობიერება იწყებს გაწმენდას, რაც იწვევს მათი ქმედებების ცვლილებასაც.

რაც შეეხება რეფტილოიდებსა და სხვა არაღვთაებრივ არსებებს, მათ უბრალოდ არ შეუძლიათ მიიღონ ეს ენერგიები იმის გამო, რომ მათ “მდაბალი” ენერგეტიკული აგებულება აქვთ.

ამგვარად, ნელ-ნელა, ყველაფერი დაფარული ნათელი ხდება.

გააგრძელებთ, ჩემო ძვირფასებო, მშვიდად და გაცნობიერებულად თქვენი ღვთაებრივი მუშაობა.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომელად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

გზავნილი მიიღო მართამ 20 მარტი 2020წ.

**ვა-ბანკზე წასვლა**

მამა აბსოლუტი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს თქვენი ყურადღება მივაბყრო ზოგიერთი დეტალისაკენ, რომლებიც დედამიწაზე მომხდარ მოვლენებს ეხება.

იმის შემდეგ, რაც დაწყნარდა პირველი ნაკადი შიშისა და პანიკასა, რომელიც იყო გამოწვეული მსოფლიოში გამოჩენილი ახალი ვირუსის მიერ, მსოფლიოს ჩრდილში არსებულმა მართველებმა, რომლებმაც საჭირო შედეგი ვერ მიიღეს, დაიწყეს შემდგომი მოქმედებების გეგმის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს შიშისა და პანიკის გავრცელებას, რაც თავის მხრივ შეაკავებს დედამიწას მესამე განზომილების ვიბრაციებში.

მე მსურს, ჩემო ძვირფასებო, რომ სრულიად გააცნობიეროთ, რომ ეხლა მიდის ნამდვილი ენერგეტიკული ომი გადარჩენისათვის დედამიწის მაცხოვრებლებს შორის. და თუ ფუზიკურ დონეზე გამარჯვება რეფტილოიდების მხარესაა, რომელთა ხელთ არის ძალაუფლება, ნატიფ დონეზე ისინი უკვე საბოლოოდ დამარცხდნენ.

ახლა, სასიკვდილო საბრთხის წინაშე, ისინი აგროვებენ მთელს მსოფლიოში ძალებს მომქედების ახალი პროგრამის შესამუშევრებლად. არ არის გამორიცხული, რომ განახლდება მაღალი დონის შეხვედრები ერთი შეხედვით “ჰუმანური” მიზნებისათვის. წამყვნი ქვეყნების ლიდერები დაიწყებენ “კაცობრიობის გადასარჩენად” ზომების მიღებას და ამოეფარებიან ლამაზ სიტყვებს ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვის შესახებ.

რა იქნება ამ მომქმედებებს მიღმა რეალურად დამალული?

პირველ რიგში პლანეტაზე საკუთარი ბატონობის შენარჩუნება, რაც ეხლა შესაძლებელია ერთადერთი სშუალებით: მოსალხეობის მასობრივი ჩიპირებით, რაც მათი ცნობიერების სრულ კონტროლში დაეხმარებათ.

ვაქცინა, რომელიც ასეთ მიკროჩიპებს შეიცავს, უკვე დიდი ხანია რაც არსებობს და ისინი მხოლოდ ელოდებიან იმ მომენტს, როდესაც სიკვდილის მიმართ შიში თავის პიკს მიაღწევს დედამიწის მოსახლეობის უმეტესობაში. მაშინ კი ისინი გამოაცხადებენ ადამიანებისთვის ამ ერთადერთით საშუალების შესახებ, რომელიც მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

მათ უკვე გააცნობიერეს, რომ ადამიანებს ენერგეტიკულად ვერ დაამარცხებენ: ძალიან ძლიერია ღვთაებრივი ნათელი ენერგიები, რომლებიც ყოველი ადამიანის სულშია ჩადებული, მძიმე და ბნელ ენერგიებთან შედარებით, რომლებიც რეფტილოიდების არსებობის მთავარი განმაპირობებელია.

ახლა კი, ამ რთულ პერიოდში, ბევრი რამე თქვენზეა დამოკიდებული ჩემო ძვირფასებო. დედამიწაზე მაღალი ვიბრაციის ენერგიების გატარებით, თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ არა მხოლოდ დედამიწას და კაცობრიობის კოლექტიურ გონს განწმენდაში, არამედ ნახევრად ადამიანებსაც, ანუ იმათ, ვის ფიზიკურ სხეულებშიც არის ორი სული – ადამიანისა და რეფტილოიდის, ადამიანისა და ორიონელის ან სხვა ცივილიზაციის წამომადგენელის სული.

ასეთი არსებები კი დედამიწაზე საკმაოდ დიდი რაოდენობითაა.

## გამოაშკარავება, ანუ როგორ მოხდა ეს

